

ლიცეო-სტუდია საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზემ „საშურის მოამბის“ დამატება
№3, 28 მარტი, ორშაბათი, 2022 წელი

ერთი ლექსი

რა ქაოსია!..
ელამია ცა და სამყარო...
რა ქაოსია?!
ცის ღრმულში ბორგავს დედამინა –
რა ქაოსია?!
ის, რაც ვაშენეთ, რაც შევქმენით, –
დღეს ქარისაა,
წაიღებს ქარი და გაფანტავს...
რა ქაოსია?!
რა ხმები ისმის ჯურღმულიდან?
– ეს ქოროსია,
ვარსკვლავთა ქორო თავს დამჩხავის...
რა ქაოსია?!
ცეცხლი შლის ენებს,
ხანძარია, თუ ქურისაა
ცეცხლი, რომელიც გვანადგურებს...
რა ქაოსია?!
ჩვენი ცხოვრება – ისეც წამი
და ქირისაა...
საით მივდივართ,
ღმერთო, ხედავ,
რა ქაოსია?!
მე გეუბნები:
„გადაივლის, ეს ეროსია,
ოლონდ ბოროტი...“
შენ ჩურჩულებ:
– რა ქაოსია?!
და ვევედრები,
მეც არ ვიცი, ვის ვევედრები...
ღმერთს, რა თქმა უნდა...
შენ მითითებ,
რომ მზე ასხივოს,
მერე ვჩურჩულებთ:
– დაიფარე შენ ეს ედემი!..
ბროლის ბურთია დედამინა...
ბროლის ბურთია დედამინა!
ბროლის ბურთია დედამინა!..
არ დაამსხვრიო!!!

მურაძე მოვსნიერძიძე



ქართული ქალი

მხატვრის მუხა

რუსი მხატვრის ივანე კრამსკოის (1837-1887 წ.წ.) ყველასათვის ცნობილ ნახატზე „НЕЗНАКОМКА“ (რომლის რეპროდუქციაც გხვდება ბევრ ქართულ ოჯახში) ქართველი ქალია გამოსახული.

ეს აღმოჩენა ქართველ-ებრაელ ჟურნალისტს – დავით ბუზუკაშვილს ეკუთვნის. მან არქივში ასეთ ისტორიას მიაგნო:

„ივანე კრამსკოის ნახატზე გამოსახული ქალი დიდგვაროვანი წარმოშობის ბარბარე თურქესტანიშვილია (თუმცა, როცა კრამსკოიმ ეს სურათი დახატა, ბარბარე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო). მხატვარმა პროტოტიპად სხვა ქართველი ქალი გამოიყენა, თუმცა, განიცადა ბარბარეს ისტორია და შემდეგ ამ სურათს პიკანტურობის გამო „НЕЗНАКОМКА“ დაარქვა.

ბარბარე თურქესტანიშვილი წარმოშობით თელავიდან იყო. ბაბუამისი რუსეთში გაჰყვა ვახტანგ VI-ის ამაღლას, ოცდაათი ათას რჩეულ თავადს შორის. მშობლები ბარბარეს ადრე გარდაეცვალა და სამი საპატრონო და-ძმა დარჩა.



ზღაპრული სილამაზითა და, ამავე დროს, ჭკუა-გონებით გამორჩეული ბარბარე რუსეთის იმპერატორის კარზე ფრეილინა გახლდათ.

იმპერატორი ალექსეი I, ისევე, როგორც მთელი პეტერბურგი, მისით იყო მოხიბლული. იმპერატორმა მოსვენება არ მისცა და ბარბარე მისგან დაფხმძიმდა... იმ დროს იგი 40 წლის გახლდათ. მთელი ორსულობა ისე გაატარა, ვერავინ მიხვდა, რადგან „კნიაგინიამ“ ჩაცმის ისეთი სტილი მოძებნა, ფეხმძიმობას ვერავინ ამჩნევდა. როგორც კი იმშობიარა და ბავშვის ხმა გაიგონა, ბარბარემ სანამლავი დალია. სანამლავმა მაშინვე არ იმოქმედა და საკმაოდ დიდხანს იტანჯა. იმპერატორის მეუღლე მას ფსალმუნებს უკითხავდა...

ბარბარე თურქესტანიშვილი ტრაგიკული ბედის აღმოჩნდა. მასზე წერდნენ პუშკინი, ტურგენევი, ლერმონტოვი...“



ქართული ქალი – ღიზნეული ნიხაპარი

ელისაბედ ორბელიანი – თბილისის უნივერსიტეტის ფრანგული ენის პირველი პროფესორი და მთარგმნელი



კახეთის ბაგრატიონთა შთამომავლის – ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონის და პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილის – თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძის ოჯახში 1870 წელს დაიბადა ელისაბედ ბაგრატიონი.

ირაკლი ბაგრატიონი ერეკლე II-ის შვილიშვილი – ალექსანდრე ბატონიშვილის ერთადერთი ვაჟი იყო. იგი 1882 წელს გარდაიცვალა და ოჯახის მთელი ტვირთი მის მეუღლეს – თამარ ჭავჭავაძეს დააწვა.

ცნობილია, რომ შამილის მარბიელმა რაზმებმა 1854 წლის 4 ელისის მოულოდნელად აიღეს და გადაწვეს თამარის მამის – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის მამული წინანდალში. მისი მეუღლე და შვილები ტყვედ აიყვანეს. თამარ ჭავჭავაძე ორი წლის ასაკში, ათი თვის მანძილზე ოჯახის წევრებთან ერთად იმყოფებოდა შამილის ტყვეობაში, დაღესტანში.

თამარ ჭავჭავაძე შემდგომში საიმპერატორო კარის ფრეილინა გახდა. ასევე, იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, სათავადაზნაურო გიმნაზიის მზრუნველთა კომიტეტის წევრი. შეაგროვა ქართული ყოფა-ცხოვრების ამსახველი ექსპონატები და ვენეციაში, საკუთარ ვილაში მოაწყო ქართული კულტურის მუზეუმი.

ქმრის გარდაცვალების შემდეგ, თამარ ჭავჭავაძე თავის ორ ქალიშვილთან – 12 წლის ელისაბედთან და 10 წლის ეკატერინესთან ერთად პარიზში დასახლდა. დებმა განათლება მიიღეს პარიზის კათოლიკურ მონასტერთან არსებულ ქალთა სასწავლებელში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ელისაბედი შევიდა სორბონის უნივერსიტეტის ფრანგული ენის ფაკულტეტზე.

1895 წელს თამარ ჭავჭავაძე ქალიშვილებთან ერთად დაბრუნდა საქართველოში. 1896 წელს მისი უმცროსი ქალიშვილი ეკატერინე ზამთრის სასახლის კომენდანტი ივანე რატიშვილს მისთხოვდა, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დღეებში იცავდა მეფის სასახლეს. ელისაბედი კი, 1898 წელს ცოლად გაჰყვა დახვეწილ არისტოკრატსა და სტუმართმოყვარეობით განთქმულ მამუკა ივანეს ძე ორბელიანს და მის გვარზე გადავიდა.

ცნობილია, რომ ელისაბედ ორბელიანის ლიტერატურულ სალონს სტუმრობდნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გიგო გაბაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, მოგვიანებით – შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, ნუცა ჩხეიძე.

ელისაბედ ორბელიანს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული პოეზიის ანთოლოგიის ფრანგულ ენაზე შედგენაში. ანთოლოგიაში შევიდა ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვა ქართველი პოეტების ლექსების თარგმანები. ელისაბედმა ფრანგულად თარგმნა ლერმონტოვის „დემონი“, 1919-1920 წლებში იგი რედაქტორობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფრანგულ და ინგლისურენოვან გაზეთებს: „თავისუფალ საქართველოს“, „საქართველოს რესპუბლიკას“ და „საქართველოს მოამბეს“. ელისაბედი წერდა ლექსებს ფრანგულ ენაზე, „საზანდარის“ ფსევდონიმით.

თბილისში, ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ელისაბედ ორბელიანის ალბომი, რომელშიც შესულია ფრანგი მწერლის – მარსელ პრევეოს, რუსი კომპოზიტორის, პიანისტისა და დირიჟორის – სერგეი რახმანინოვის, მომღერალ – ფიოდორ შალიაპინის, ასევე, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვათა ჩანაწერები. ელისაბედ ორბელიანის უდიდესი დამსახურება გახლავთ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმანი თეთრი ლექსის ფორმით. მანამდე ფრანგულ ენაზე მხოლოდ პროზაული თარგმანი არსებობდა.

1938 წელს გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი, რომლის ავტორიც იყო მარჯორი უორდროპი. წიგნის წინასიტყვაობა დაწერა ელისაბედ ორბელიანმა, რომელმაც თარგმნა უორდროპის მიერ გამოტოვებული პოემის სტროფებიც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე, ელისაბედ ორბელიანი ფრანგული ენის მასწავლებლად მიიწვიეს. იგი ქართული უნივერსიტეტის პირველი ქალი პროფესორი გახდა.

ელისაბედი გარდაიცვალა 72 წლის ასაკში, 1942 წელს.

ხელოვანი ბედისწერა



პოლონელი კომპოზიტორის ფრედერიკ შოპენისა და ფრანგი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის შეხვედრა ბედის დაცინვას ჰგავდა: ფერმკრთალი, სუსტი აღნაგობის, ოცდაექვსი წლის შოპენი – დახვეწილი მანერებითა და ნათელი მზერით და უხეში, მამაკაცური იერის, ქმარს გაშორებული სანდი, რომლის წარმოდგენა შეუძლებელი იყო კბილებში გაჩრილი სიგარეტის გარეშე. მიუხედავად ამისა, თითქმის ათწლიანმა რომანმა უამრავი წრფელი შეგრძნება და შემოქმედებით მუხტი აჩუქა ორივეს. ისინი შთაგონებასა და აღმადგენას აძლევდნენ ერთ-ერთს: შოპენი თავის გენიალურ მუსიკას ქმნიდა, სანდი წიგნებს წერდა.



როცა შოპენი და სანდი პირველად შეხვდნენ, ჟორჟი ქმარს გაცილებული იყო, ორი შვილით, ფრედერიკი კი მარია ვოდზინსკაიაზე იყო დანიშნული, რომელთანაც ურთიერთობა მალევე შეწყდა. ჟორჟ სანდის გულში ანთებული ვნების მიზეზი შეიძლება ისიც აღმოჩნდა, რომ გაცნობისას შოპენი ავად იყო, სანდს კი ყველა მისი საყვარლისადმი დედობრივი გრძობის მსგავსი გრძობაც აკავშირებდა. მამაკაცის სამოსში გამოწყობილი, ექსტრავაგანტური სანდის დანახვისას შოპენმა აღნიშნა: „რა საშინელი ქალია! და, საერთოდ, ქალი თუა?“ მიუხედავად ამისა, სწორედ მასთან ჰპოვა შოპენმა ნუგეში, საცოლესთან დაშორებით გამოწვეული ავადმყოფური განცდების შემდეგ.

სანდმა იცოდა მამაკაცების გულებისაკენ მიმავალი უტყუარი და ყველაზე მოკლე გზა. მან შოპენი მალევე დაიპყრო თავისი დიდრონი, მეტყველი თვალებითა და წინააღმდეგობრივი ნატურით. ჟორჟ სანდის შვილებს მათი რომანი არ მოსწონდათ. ჟორჟის ქალიშვილი სოლანჟი ხრიკებს აწყობდა და ფრედერიკის ცდუნებაც კი სცადა, რათა დედასთან მისი ურთიერთობა დაეწვრილა. ამის გამო შოპენი იძულებული გახდა, პარიზში წასულიყო. ის და სანდი მიმოწერით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. შოპენს გამუდმებით ესმოდა სანდის ახალი სასიყვარულო კავშირებისა და ინტრიგების შესახებ. ამიტომაც, ერთ დროს საყვარელი ქალი შეიძულა და მასთან მიმოწერა განწყვიტა.

1848 წელს, კომპოზიტორის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, მათი გზები უკანასკნელად გადაიკვეთა. ჟორჟ სანდმა ფრედერიკთან დალაპარაკება სცადა, მაგრამ მან ზურგი შეაქცია და გავიდა.

ბოლო კონცერტი შოპენმა ლონდონში გამართა. ბრიტანულმა კლიმატმა საბოლოოდ გატეხა მისი ჯანმრთელობა, ტუბერკულოზმა და გაუნებლებლმა დეპრესიამ კომპოზიტორის 39-ე სიცოცხლე შეინირა.

ლევნა იუ სინამდილე

ყვავილები მაიაკოვსკისგან

ორი სხვადასხვა პლანეტის ადამიანი – ასე შეიძლება ითქვას რუსი ემიგრანტი ქალის ტატიანა იაკოვლევას და გენიალური რუსი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის პორტრეტების დასახასიათებლად, რომელთა ერთად ყოფნა ყოველად წარმოუდგენელი იყო. თუმცა, ბედისწერამ მათი შეხვედრა დაუშვა...

ხმაურიანი, დაუფიქრებლად ხისტი, უკომპრომისო, მემბოხე სულის პოეტი საბჭოთა ქვეყნიდან და ნატიფი, დახვეწილი მანერებით

ალზრდილი, მომხიბვლელი ქალბატონი, პარიზის ელიტარული წრისათვის მიღებული და სასურველი, კრისტიან დიორის მუზა და მარლენ დიტრიხის მეგობარი, ქალი, რომელსაც აღმერთებდა სერგეი პროკოფიევი, მას თავს ეხვეოდნენ ალექსანდრე ვერტინსკი და ფიოდორ შალიაპინი.

რევოლუციური სულისკვეთების პოეტი კი უიმედოდ იყო მასზე შეყვარებული...

მაიაკოვსკი პარიზში გასული საუკუნის 1928 წლის 15 ოქტომბერს ჩავიდა. სულ მალე

ტატიანა იაკოვლევა გაიცნო... პოეტის ისედაც ემოციური ნატურა სიყვარულის ბობოქარმა ქარიშხალმა დაიპყრო. იგი დაჟინებით სთხოვდა ტატიანას, ცოლად გაჰყოლოდა, მის გამო მზად იყო, პარიზში სამუდამოდ დარჩენილიყო. ტატიანა იაკოვლევას კი საერთოდ არ ესმოდა მისი, უფრო მეტიც – მას აფრთხობდა მაიაკოვსკის შმაგი, დაუოკებელი ვნება მისადმი. ვერც უსაზღვრო ერთგულებამ მოუღობო გული.

1929 წელს მაიაკოვსკი მოსკოვში დაბრუნდა, აუხდენელი სიყვარულის ფარული სევდით დათრგუნული. ამის შემდეგ მას სამუდამოდ აუკრძალეს საზღვარგარეთ გასვლა. საბჭოთა კავშირში დაბრუნებამდე, პოეტმა პარიზის გამოსვლებში აღებული მთელი თავისი არცთუ ცოტა ჰონორარი ბანკში, ყვავილების ცნობილი ფირმის ანგარიშზე ჩარიცხა იმ პირობით, რომ მისი სახელით, კვირაში რამდენჯერმე ტატიანა იაკოვლევასთვის საუკეთესო, ძვირფასი ყვავილების თაიგული გაეგზავნათ...

და მას შემდეგ, პარიზის ყვავილების პრესტიჟული ფირმა პირნათლად ასრულებდა კლიენტისთვის შეპირებულ ვალდებულებას, – წლიდან წლამდე, ნებისმიერი სეზონისა და ამინდის მიუხედავად, ტატიანასთან ფანტასტიური სილამაზის ყვავილები მიჰქონდათ ერთადერთი ფრაზის თანხლებით: „მაიაკოვსკისგან“...

და, იმის მიუხედავად, რომ ტატიანა იაკოვლევა ორჯერ იმყოფებოდა ოფიციალურ ქორწინებაში, მას ჩვევად ექცა პოეტის უჩვეულო შემოჭრა მის ცხოვრებაში, ჩვევად ექცა იმის გაცნობიერება, რომ იგი სადღაც არსებობდა, საოცნებო ქალი ახსოვდა და ყვავილებს უგზავნიდა...

1930 წლის დასაწყისში ტატიანა ცოლად გაჰყვა ფრანგ დიპლომატს, რომელიც ათი წლის შემდეგ ავიაკატასტროფაში დაიღუპა. 1930 წლის აპრილში კი მაიაკოვსკის მემბოხე სულმა გამოკრული ჩახმახის სისწრაფით სამუდამოდ დატოვა დედამიწა... თვითმკვლელობამდე ბარათი დანერა, რომელშიც ახლობლებსა და მეგობრებს სთხოვდა, მის სიკვდილში არავინ დაედანაშაულებინათ. თუმცა, ცნობილია ის ფაქტიც, რომ მას ნათქვამი ჰქონდა – მზად ვარ, ტყვია დავიხალო, თუკი აღარასდროს მეღირსება ჩემი გულისმპყრობელი ქალის ნახვაო.

ცნობამ მაიაკოვსკის სიკვდილის შესახებ ტატიანა გააოგნა... მას ველარ წარმოედგინა, როგორ გააგრძელებდა ცხოვრებას პოეტის ყვავილებში განსხეულებული სიყვარულის გარეშე.

ნათქვამია, დიდი სიყვარული სიკვდილზე ძლიერიაო... თუმცა, მხოლოდ ერთეულებს თუ შეუძლიათ რეალურ ცხოვრებაში ასეთი სიყვარულის ხორცშესხმა. მაიაკოვსკიმ ეს შეძლო! მის მიერ

შეკვეთილი ყვავილები 30-იან წლებშიც მიჰქონდათ ტატიანასთვის, როცა პოეტი ცოცხალი აღარ იყო, მიჰქონდათ 40-იან წლებშიც, როცა იგი უკვე მიივინყეს და – მე-2 მსოფლიო ომის სასტიკ წლებშიც, როცა პარიზი ნაცისტებისგან იყო ოკუპირებული. მაიაკოვსკის ყვავილების ფირმისთვის არ დაუტოვებია არანაირი ცვლილების მითითება მისი სიკვდილის შემთხვევაში. ამიტომ, პოეტის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან მეორე დღესვე, ტატიანა იაკოვლევას კარის ზღურბლთან კვლავ იდგა კურიერი, ძვირფასი თაიგულითა და უცვლელი ფრაზით: „მაიაკოვსკისგან,“ როგორც მარადიულობის საშვი, რომელიც ომის დამთავრების შემდეგაც არ შეწყვეტილა.

ტატიანა შიმშილით სიკვდილისგან პოეტის სახელით გამოგზავნილმა ყვავილებმა იხსნეს, რომელთაც იგი პარიზის ბულვარზე ყიდდა, ან საჭმელზე ცვლიდა. ვლადიმერ მაიაკოვსკის სიყვარულის, ყვავილებისა და სიკვდილზე გამარჯვების ისტორია პარიზის ისტორიას შეუერთდა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, საბჭოთა ინჟინერი არკადი რივლინი, რომელსაც ეს ისტორია ბავშვობაში ჰქონდა გაგონილი, პარიზში მოხვდა და ტატიანა იაკოვლევას ესტუმრა. უკვე თმაშევერცხლილმა, მშვენიერმა ქალბატონმა სიამოვნებით უმასპინძლა თანამემამულეს. პირველი, რაც ინჟინერს თვალში მოხვდა, ეს ყვავილების ზღვა იყო... და, მიუხედავად ამისა, მას მაინც ეგონა, რომ მაიაკოვსკის ყვავილების ისტორია მხოლოდ ლამაზი ზღაპარი იყო. ინჟინერმა მორიდებით სთხოვა დიასახლისს, მოეთხორო ამ ზღაპრის შესახებ.

– ხომ არ გეჩქარებათ? ჩაი მიირთვით, – იღიმებოდა ტატიანა.

გარკვეული დროის შემდეგ კარზე ზარი დარეკეს. კურიერმა მდიდრულად თვალისმომჭრელი თაიგული გადასცა ქალბატონს და წარმოსთქვა: „მაიაკოვსკისგან...“

1991 წელს, ნიუ-იორკში, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ტატიანა იაკოვლევა...

ამ წელს მას უკანასკნელად გადასცეს თაიგული „მაიაკოვსკისგან...“

თარგმანი



ლესია უკრაინკა

* * *

ბაგენი ხმობენ: „დაიღუპა ის საუკუნოდ!“
გული კი ამბობს: „არა, არა, განვედ, უკუნოდ!“
გესმის თუ არა, სიმი როგორ თრთის და მწუხარებს?
ხმიანობს, თითქოს სულში ფეთქავს ცრემლი მდულარე...
და ჩემთან ერთად იმეორებს მოზარის დარად:
„მე მუდამ აქ ვარ, შენთანა ვარ მარად და მარად!“
ასეა, როცა სიხარულით ვიქარვებ დარდებს,
ანდა მავანი სამეგობროდ განვდილ ხელს მართმევს.
ან ვილაცასთან გულახდილი მაქვს მასლაათი,
ან როცა ბაგეთ დაუდგება კოცნის საათი.
სიმის წკრიალი ექოდ დაჰქრის კარიდან კარად:
„მე მუდამ აქ ვარ, შენთანა ვარ მარად და მარად!“
როცა ოცნების უფსკრულებში მგონია თავი,
სად მიმოდინა აჩრდილები თეთრი და შავი...
ზოგიც ნაცნობი, ზოგიც უცხო და შორეული,
სულს ეუფლება მომწუხებელი მზერა, გრძნეული.
შენი ხმა მღერის, თითქოს ტოკავს მწუხარე ლარად:
„მე მუდამ აქ ვარ, შენთანა ვარ მარად და მარად!“
როცა ნელი-ნელ ეკიდება რული წამნამებს.
დავხუჭავ თვალებს, ოცნებებით ნაგვემ-წამამებს,
იმ ძილქუშიან, ტვირთმძიმე და უჟმურ სიზმარეთს
სათნო აჩრდლის ხმა აღვიძებს ყოველ ცისმარე.
ზრიალებს იგი მწუხარე და უცნაურ ზარად:
„მე მუდამ აქ ვარ, შენთანა ვარ მარად და მარად!“
ყოველთვის, როცა ყურს მოსწვდება შორი ზრიალი,
გულში ყვავილთა თრთოლვაა და რია-რიალი.
იმა ყვავილთა, რომ ვერ შესძელ დაკრეფა მათი
და არც საფლავში ჩატანების იყავი მწადი.
თრთიან ყვავილნი, ხმას მიწყობენ უთვალავ ჯარად:
„მე მუდამ აქ ვარ, შენთანა ვარ მარად და მარად!“

უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ

ნომის სკოლა



ირმა შიოლაშვილი – პოეტი და ჟურნალისტი, ექვსი პოეტური კრებულის ავტორი ცხოვრობს და მოღვაწეობს გერმანიაში. არის ინტერნაციონალური ურთიერთთანამშრომლობის აკადემიის დოცენტი. 2005 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ქართული და გერმანული პოლიტიკური ლირიკა.“

გერმანიაში მიღებული აქვს ევროპელ მწერალთა გაერთიანება kogge-ს 2020 წლის ლიტერატურული ჯილდო.

ირმა შიოლაშვილის ლექსები თარგმნილია გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, ლიტვურ და რუსულ ენებზე.

ლაქა

განზილებული შემომყურებს ეს ძველი კაბა – ვერ შევამჩნიე დიდი ლაქა გულის მხარეზე! წარსულს სამყაროს მივნიჭებულ კიბეზე ვაბამ ძალიან – პატრონს სულ რომ დასდევს და სულ დაეძებს... და გზას ვაგრძელებ და ცხოვრების ფართო ქუჩებში ახალ კაბებს და ახალ დარდებს უსიტყვოდ ვიძენ... და ამ ბებერი და გულლია ყოფის უბეში ხან მანუხებს და ხან მამშვიდებს კაბების სიგრძე. თუმცა, ეს კაბა, ეს ძველი და ლამაზი კაბა – ასე, ხმაურით რომ ინახავს ყველა იარას, წარსულს აქეზებს, რომ დაბრუნდეს, მიყუროს ხარბად და ჩემი გულის ფიქრი შესვას ლაქებიანად...

ცხოვრების დანება

– დაინყე ახლიდან! – მიბრძანებს ჩემი ცხოვრება და მეც ვემორჩილები – ახლიდან ვინყებ ყოველ დღით საკუთარი თავის შეგროვებას: თვალს ვახელ, გუგებში ჩაზრდილ ნაბლს ვაგროვებ და ვასუფთავებ, წამწამებზე სულს ვუბერავ სიზმრის ნარჩენებს, მტვერით ვფანტავ, – არ მჭირდება, ცხოვრებაში მხოლოდ დამაბნევს! ვეძებ ხელებს, რომლებსაც მხოლოდ წერა გამოსდით, სხვა არაფერში არ ვარგიან, შვილებს რომ ეხებიან, მაშინაც მნიფე სიტყვების სუნი უდით. შვილები მიეჩვივნენ ამ სუნს, სხვანაირი დედა არ ახსოვთ. ვეძებ ფეხის ტერფებს, რომელთაც მთებში სიარული მოსწონთ, რომელთაც ქვა-ლორღებზე სიარული ბავშვობაში შეიყვარეს და, როცა ასფალტს ეხებიან, გული წუხილისგან უბრტყელდებათ. ვეძებ ენას, რომელიც მწარეა და ბაგეებზე აყვავებულ სიტყვებთან მეგობრობს, რომელმაც მხოლოდ პირდაპირი გზები იცის, – გადახვევების გარეშე, ამიტომაც ხშირად ვკბენ ხოლმე. ვეძებ შუბლზე შიგნიდან გადაჭიმულ ძარღვებს – ლურჯებს და ყოფაზე ძლიერებს, თუ თავის ადგილას არიან, შემოიღია ნამოვდგე და ახლიდან დავინყო...

ირონია

არადა, ისეთი უშნოა ეს, ცხვრებით დასახლებული სამოთხე, აღარ ვიცი, რა მოვუხერხო ჩემს მხედველობას. დადიან ცხვრები, სიჩუმეს და სუნს ერთმანეთში ურევენ და ხანდახან ერთმანეთიც ერთმანეთში ერევათ. მე კი რა ვქნა, როცა გაზრდილი შემოვედი ამ ფარაში, ვლაპარაკობ, მაგრამ ვის რას გავაგებინებ... გამარჯობათ, ცხვრებო, არც კი იცით, რომ შესაძლებელია გასცუროთ მდინარე და ყველა ჭუჭყი მდინარეს გაატანოთ და ყველა სირცხვილი მდინარეს გაატანოთ... ისეთი მიმტვევებელია მდინარე! გამარჯობათ, ცხვრებო, სანამ თქვენ ძოვდით, მე ვისწავლე დუმილის დამარცხება, მე ვისწავლე შიმშილის დამარცხება, მე ვისწავლე სიამის დამარცხებაც და ახლა, როცა გარედან გიყურებთ, როცა ფარაში მდგომი მაინც გარედან გიყურებთ, შეგიძლიათ ბალახით ლეჭოთ ჩემი ირონია.

ძველი სიყვარული

მეც ვალიარე ძველი სიყვარული, როგორც დაწვლი და გამომშრალი გვირგვინი, რომელსაც კარადის თავზე ვინახავ. ვალიარე, რომ რა დროც უნდა გავიდეს, რა მტვერიც უნდა დაედოს, თვალს მაინც ყოველთვის გავაპარებ მისკენ. ის კი შეიძლება ამიჯანყდეს, დალაგებული სული არივ-დარიოს, შეიძლება ზურგი შემაქციოს, ისე, როგორც ქალებმა ვიცით, როცა შეყვარებულს ვებუტებით, კისერიც გადასწიოს შესარიგებელი კოცნის მოლოდინში, – ქალებმა რომ ვიცით, ზუსტად ისე! შეიძლება ძალიან გაინწვეს ფეხებთან და დამარხულ ერთგულებაზე კუდის ქიციანით მომიყვებს. შეიძლება საერთოდ ვერ მიცნოს, უაზროდ მომაშტერდეს მკერდზე და მკლავებზე და ცხოვრებასთან ფლირტაობა გააგრძელოს. მე კი ფურცელში ჩაგრავ თავი და მივწერო ძველ მეგობარს, რომ ისეთი ლამაზია ჩემი კარადა და ამ კარადაზე შემოსკუპებული გამხმარი გვირგვინი, რომ სულ არ მადარდებს, თუ ოცი წლის წინანდელმა ყვავილებმა სუნი დაკარგეს, მივწერო, რომ სხვა ხიბლია, – გახუნებულის გაფერადებაზე ფიქრობდე, გარდაცვლილის გაცოცხლება წარმოიდგინო, დაკარგულის პოვნაზე წაიოცნებო... სხვა ხიბლია, არ იყოს და მაინც გჯეროდეს!

თოვლი სიყვარულში

მინდოდა, რომ ღვინოსავით გადამელვარა თოვლზე ჩემი საიდუმლო სიყვარული – დასაწყისში თოვლივით თეთრი, ხოლო მერე ღვინოსავით დაძველებული. მაგრამ ვხედავ, არაფერი არ გამოვიდა... ვერ შევძელი სითეთრეში წარსულის წაშლა. რამდენჯერაც თოვლად ვაქციე ჩემი დიდი თავისუფლება, ზუსტად იმდენჯერ ხელში შენზე დარდად ჩამადნა და ამ ხელმა ღვინის ჭიქის ძებნა დაიწყო... რამდენჯერაც ღვინოდ შევსვი საიდუმლო სიყვარული, იმდენჯერ ტუჩზე ქარვისფერი ლაქა დამაჩნდა და ღვინის ჭიქა უხმოდ დავდგი ფანჯრის რაფაზე. შენ კი გეგონა, რომ ქვეყანას მოვუყვებოდი ტუჩის კუთხესთან შერჩენილი ლაქების სევდას... შენ კი გეგონა, ტუჩებიდან ყველა ლაქას მუქი საცხით გადავფარავდი, ან ყველა შენთვის უთქმელ სიტყვას შევურევდი იმ გუნდაში – ფანჯრიდან რომ ვესვრი ხოლმე თავისუფლებას.

გაფერადებული სიღარიბე

„დანერეთ საკუთარი ისტორიები“ – გვითხრა პროფესორმა, „დანერეთ ყველაფერზე, რასაც თქვენს თავში აღმოაჩენთ, რასაც საკუთარ ცხოვრებაში აღმოაჩენთ, რასაც რეალობა ჰქვია. დანერეთ გასაგები ენით, გადახვევების და მეტაფორების გარეშე, არ გაიქცეთ რეალობიდან, დარჩით ყურნალისტებად!“ – გვითხრა პროფესორმა და მეც დავწერე, როგორ ცხოვრობდა ჩემს მეზობლად მოხუცი მხატვარი, რომელსაც ყოველ საღამოს საღებავები უთავდებოდა და იძულებული იყო, უარი ეთქვა პურზე და არაყზე, რათა ეყიდა საჭირო ნივთები... და მე დავწერე, როგორ უტიფრად უყურებდნენ ჩვენი ფანჯრები ერთმანეთს და როგორ ვხედავდი ყოველ საღამოს ერთმანეთში გადასულ ფერებს, რომლებიც ძალიან ჰგავდნენ შიმშილს და შიმშილივით ცახცახებდნენ შიშველ ტილოზე. მხატვარი კი აცმევდა ტილოს და თვითონ რჩებოდა ჩაუცმელი, მხატვარი კი აფერადებდა ტილოს და უფერული ხელები უკანკალებდა... და მე დავწერე, რომ არასოდეს ვისურვებდი, ჩემი ცხოვრება მისას დამგავსებოდა, რომ მე ყოველთვის შევეცდებოდი მეხატა საღებავების გარეშე, მეხატა, უბრალოდ, კალმით, მყოლოდა ერთადერთი ბატონი – სიტყვა და მე ვყოფილიყავი მისი დედოფალი – ჩალამებული თვალებით და სადა ფრჩხილებით, – ყოველგვარი ფერების გარეშე! დავწერე, რომ სადა სიმდიდრე მერჩივნა გაფერადებულ სიღარიბეს.

წინაპარი

ჩემი დიდი წინაპარი – პაპაჩემის პაპის პაპა, რომელიც მთაში ცხოვრობდა და იყო პოეტი, მითვალთვალეს წინა საუკუნეებიდან. არ ვიცნობდი, მაგრამ ვემგობრობო. ეს მისი სიმღერაა, რომელსაც მიღმიერი სამყაროდან ვხრიალებ. ეს მისი სიტყვებია, რომლისგანაც თითები მაქვს დაღურჯებული! ამარჩია და ჩემში მჟღავნდება! მისი ბრალია, რომ ასე სანახევროდ ვცხოვრობ... და როცა მძინავს, ღია თვალებით ვებრძვი ლამებს. მისი ბრალია ჩემი ალტაცება ქვებისადმი, კლდეებისადმი. მან დამინწესა, მყვარებოდა კლდესავით კაცი – მღუმარე და ძლიერი და სიცხის ამტანი. დიდი ხნის წინ გაურვიდა ღმერთს, რომ ჩემით თავისი მთა და თავისი სიტყვა გადაერჩინა. ჰოდა, ახლა ლაღად დადის ჩემს სისხლში და სიტყვისგან დაღურჯებულ თითებზე შიგნიდან მიკაკუნებს.